გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 82

21 06 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1769-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 ივნისის სხდომის N11 ოქმის მე-14 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 ივნისის N03/3869 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1769-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს შ.პ.ს ,,ქართლი თამბაქო"-ს (ს/ნ 434163399) მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თაზაკენდში მდებარე შენობა-ნაგებობა (ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა), რომლის განაშენიანების ფართი შეადგენს 520კვ.მ-ს, მასზედ დამაგრებული 895 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N83.03.16.132) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი